№ 20
შაბათი, 8 თებერვალი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვ. | მან. კ. | | თვ. | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 20
შაბათი, 8 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

## „ივერია“
### გამოვა 1897 წელს
### იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 | „ — — — — | 6 | „ |
| 11 | „ — — — — | 9 | 50 | 5 | „ — — — | 5 | 50 |
| 10 | „ — — — — | 8 | 75 | 4 | „ — — — | 4 | 75 |
| 9 | „ — — — — | 8 | „ | 3 | „ — — — — | 3 | 50 |
| 8 | „ — — — — | 7 | 25 | 2 | „ — — — — | 2 | 75 |
| 7 | „ — — — — | 6 | 50 | 1 | „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წლის მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი კვირე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

## ახალი ამბავი

—

*** უმართებულესს სენატს ამ დღეებში ვაჰანიანცისა და ქ. ბათომის საქმე გაურჩევია. სენატის გარდაწყვეტილებაში ის აზრია გამოთქმული, რომ ის საბუთის ქაღალდები, რომელიც ოსმალეთის კანონების თანახმად არის შემდგარი და მამულის მფლობელს სრულს, განუსაზღვრელს უფლებას ანიჭებს უძრავი ქონების ფლობისას, რუსეთის კანონმა აუცილებლად უნდა შეიწყნაროს და კანონიერად იცნასო. ხოლო თუ საბუთის ქაღალდები ოსმალეთის კანონებს არ ეთანხმება, იგი ვერავის მიანიჭებს მამულის მფლობელობის უფლებასაო.

*** დღეს ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია ბალი „ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ საშუალებათა გასაძლიერებლად. ეს საზოგადოება, როგორც უწყით, უმთავრესად სათავად-აზნაურო ბანკის შემწეობითა და საქველ-მოქმედოთ გამართულ კონცერტ-ბალითა ჰსულდგმულობს, თორემ საწევრო ფული სულ ოთხი-ხუთი თუმანი არ უგროვდება წელიწადში. ამასთან ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ამ საზოგადოების შეძლების ავკარგიანობისაგან არის დამოკიდებული ბედ-იღბალი ქართულის სცენისა, ამ ჩვენის ერთად-ერთის საერო დაწესებულებისა. რამდენადაც გაგვიგონია წრეულს დრამატიულ საზოგადოებას სამას თუ ოთხას თუმნამდე ხარჯი უფრო მეტი ჰქონია შემოსავალზედ. ამის გამო იმედია ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება დღევანდელს ბალს, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის მხიარულად და მრავალ ხალხის დასწრებით იმართება ხოლმე. ეს თანაგრძნობა დრამატიულ საზოგადოებას შეძლებას მისცემს ქართულ სცენას ისევე გულმოდგინედ ემსახუროს, როგორც აქამდე ემსახურებოდა.

*** გუშინ, 7 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო განსახილველად საჩივარი სიმონ ივანეს ძე პარაფიანცისა, რომელიც უჩიოდა აბგარ იოანესიანცს და სარქის კამალიანცს და საჯელთა დებულების მე-1039 და 1040 მუხ. მოხსენებულს ბრალსა სდებდა. სასამართლომ ეს საქმე ვერ განიხილა, რადგანაც თვით მომჩივარისათვის უწყება ვერ ჩაებარებინათ.

*** გაზ. „კავკაზ“-სატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბარონი ფონ-დერ-ბრიუგგენი, მისისავე თხოვნის თანახმად ავადმყოფობის გამო სამსახურიდგან იქმნა დათხოვნილი.

*** როგორც „კასპი“ გვაუწყებს შავ ქალაქში, 3-ს თებერვალს დილის 10 საათზე კაპლანის და ლევის ნავთის ქარხანას გასჩენია ცეცხლი. ცეცხლი თურმე ერთის ადგილიდგან მეორეზე მსწრაფლად გადადიოდა, რასაც ხელს უწყობდა ძლიერი ქარი. ცეცხლი მეორე დღეს ძლივს-ძლივობით ჩაუქრიათ. ზარალი დიდია. ქარხანა 29,000 მან. ყოფილა დაზღვეული.

*** გაზ. „მშაკი“ იუწყება, რომ ა. ი. მანთაშევმა სერპინეს დედათა მესამე გიმნაზიას 10,000 მან. შესწირაო.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადებული 503 მან. კავკასიის ღარიბ ქალაქების შესაწევრად, კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობის აღმასრულებელის თავ. ამილახვარის განკარგულებით, ქალაქ ახალციხეს მიეცემა, როგორც სხვა ქალაქებზედ უფრო ღარიბს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ფილიმონ ქორიძეს გურული სიმღერები გადაუღია ნოტებზედ, რისთვისაც ის დიდი ხანია ჰშრომობს. 2 თებერვალს გამოსათხოვარი კონცერტი გაუმართავს ოზურგეთში. კონცერტში მონაწილეობა მიუღიათ მისგანვე შემდგარს დასს და გარეშეთაც და უმღერიათ ნოტებზედ ახლად მის მიერ დაწყობილი გურული სიმღერები. კონცერტს მშვენიერად ჩაუვლია.

*** დიდს საჭიროებას შეადგენს ხელთნაწერიწიგნი „დილარიანი“, ქმნილი სარგის თმოგველის მიერ თამარ მეფის დროს, ან პეტრე ლარიძისაგან აღდგენილი ამ საუკუნის პირველ წლებში. ეს წიგნი დღეს იბეჭდება და გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე მუდარებით ივედრება, რომ თუ ვისმეს აქვს ხსენებული ხელთნაწერი, დაუთმოს და წარმოუდგინოს „ივერიის“ რედაქციას, ან „წერა-კითხვის გამავრცელებს საზოგადოებას“, მიყიდვით ან თხოვებით.

*** გაზ. „კავკ. სელ. ხაზ.“-ს სიტყვით ზაქათალის სახელოსნო სასწავლებლის სასოფლო სამეურნეო განყოფილების მმართველს ბ-ნ ვასილიევს განუზრახავს ჩაის, ფსტის,

---

# ფელეტონი

—

### ის მესამეა

ჰენრიხ სენკევიჩისა

XV*)

საღამოზედ სუსლოვსკისთან წავედი.

ჩვენ სასტუმროში მოვთავსდით. პანი სუსლოვსკაია მაგიდასთან იჯდა, წინ ლამპარი დაედგა და რაღასაც უკერავდა კაზის; პან სუსლოვსკი დიდის ღირსებით კითხულობდა „მფრინავ ფურცლის“ დილის ნომერს. მე ჩემს ქერქში არ ვიყავ, მინდოდა თავი დამეღწია როგორმე ამ არა სასურველ მდგომარეობისათვის, კაზის ახლო მოუჯექი და ვცდილობდი მეკოცნა; მაგრამ მან ჩამჩურჩულა: ვლადეკ, მამა დაინახავსო!

იმ დროს მამამ ხმა მაღლა წაიკითხა „ცნობილის მხატვრის სვიატეცკის სურათი „უკანასკნელი შეხვედრ,“ იყიდა ექიმმა ბიალკოვსკიმ 1,500 მანეთადაო...“

— მართალია-მეთქი, ვუთხარი:— დღეს დილით გაჰყიდა სვიატეცკიმ თავისი სურათი.

კვლავ ვცდილობდი კაზისთვის მეკოცნა, მაგრამ ისევ მომესმა იმისი ნელი ხმა:

— მამა დაინახავსო!

ჩემდა უნებურად პან სუსლოვსკის შევხედე. უცბად პირი-სახე შეეცვალა; შუქისაგან თვალებზედ ხელი მიიფარა და „მფრინავ ფურცელში“ დაიწყო ცქერა. ნეტავ იქ რა ეშმაკი უნდა ეპოვნა?

— მამა, რა დაგემართაო? ჰკითხა კაზიმ.

ის წამოდგა, ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩვენსკენ, მერე შესდგა, დაგვაცქერდა, ხელები უკან დაიწყო და თავი გაიქნია.

— რა მოგივიდათ?

— სიყალბე და ღალატი არასდროს არ დაიმალებაო! რიხიანად დაიძახა სუსლოვსკიმ: წაიკითხეთ, პატივცემულო ბატონო, ბოლომდის, თუ კი სინიდისი ნებას მოგცემთ.

„მფრინავ ფურცლის“ ნომერი გადმომცა, ვიპოვნე წერილი, რომელსაც სახელად „უკრაინელი მესტვირე“ ეწოდებოდა და ოდნავ წამოწითლებულმა დავიწყე კითხვა: „ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს ქალაქს ეწვია ძვირფასი სტუმარი—მოხუცი უკრაინელი მესტვირე, რომელიც დაიარება ვარშავაში მცხოვრებთ უკრაინელ სახლობებში და მოწყალებასა თხოულობს. ამბობენ, ვითომ ამ საწყალს მესტვირეს მფარველობს ჩვენი გამოჩენილი არტისტი ქალი ე.ა., რომელიც დღეს დილით უნახავთ ეტლში მჯდომი იმ მოხუც მესტვირესთან. შორეულ სტუმრის მოსვლის პირველ დღესვე ქალაქში გავრცელდა საოცარი ხმა, ვითომ მოხუც მესტვირის ტანისამოსის ქვეშ იმალებოდეს ერთი ჩვენი გამოჩენილი მხატვარი, რომელმაც ამ გვარად ადვილად მოიპოვა საშუალება ქალების საპირფარეშო ოთახებში შესვლა-გასვლისაო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხმა ყოვლად უსაფუძვლოა. ეს ხმა მართალი რომ ყოფილიყო, ჩვენი გამოჩენილი არტისტი-ქალი მონაწილეობას არ მიიღებდა ამ საქმეში. მოხუცი, ჩვენის აზრით, ნამდვილი უკრაინელია. ჭკუაზედ ცოტა შეშლილია, მეხსიერება-კი კარგად აქვს შერჩენილი“...

სწორედ დავიტანჯე!

სუსლოვსკი-კი ისე იყო აღელვებული, რომ სიტყვის გამოთქმა ვეღარ მოეხერხებინა. ბოლოს გაჯავრებულის ხმით მკითხა:

— ახლა რა ახალ ტყუილებს მოიგონებთ თქვენ თავის გასამართლებლად? ვინ იცის, შეიძლება თქვენ არ იყავით იმ საძაგელის ტანისამოსით?.. ვინ იყო ის მოხუცი?

— ის მოხუცი მე ვარ-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ არ მესმის, იმისი ტანისამოსი საძაგლად რად მიაჩნიათ?

კაზიმ გამომგლიჯა ხელიდგან „მფრინავ ფურცლის“ ნომერი და დაუწყო კითხვა. სუსლოვსკიმ განაგრძო:

— ჯერ ფეხი არ შემოგიდგავთ ჩემს სახლში, მაგრამ გარყვნილების შემოტანა კი მოასწარით: ჰლალატობთ ამ ბავშვს ცუდის ყოფა-ქცევის დედაკაცის შუამავლობით, სთელავთ ფეხ-ქვეშ ჩვენს იმედებს და სტეხავთ თქვენის აღთქმის სიწმიდეს... მერე ვისთვის? ვიღაც თეატრის გეტერასთვისო?!

სისხლი ყელში მომებჯინა.

— კმარა-მეთქი, დავიძახე: ეს გეტერა ათ თქვენისთანა ყალბს კატონს მირჩევნია... ჩვენს შორის არავითარი კავშირი არ არის და იცოდეთ, რომ თქვენ მე საშინლად მომაბეზრეთ თავი... თქვენი...

აქ სიტყვები შემომაკლდა და არც საჭირო იყო, რადგანაც სუსლოვსკიმ უცბად გაიხსნა პერანგის საყელო, თითქოს ამითი ის უნდა მითხრას:

— დამკარი შებრალებას არა გთხოვ, აი ჩემი გულიო.

— მაგრამ მე ფიქრადაც არ მომსვლია დარტყმა. შემეშინდა უარესი არა ვუთხრა-რა სუსლოვსკის-მეთქი და წამოვედი, წამოვედი ისე, რომ არავის გამოვემშვიდობე.

გრილმა ჰაერმა გახურებული გული გამიგრილა.

მშვენიერი ღამე იყო; საღამოს ცხრა საათი სრულდებოდა. საჭირო იყო გამევლ-გამომევლო ცოტა, რომ დავმშვიდებულიყავ და ამიტომ ბელვედერის ხეივნისაკენ გავეშურე.

ელენეს სახლის ფანჯრები სრულიად ჩაბნელებული იყო. შინ არ უნდა იყოს-მეთქი, ვიფიქრე. არ ვიცი რადა და ეს გარემოება ძალიან მეწყინა... თვალიც რომ მომეკრა იმისთვის, დავმშვიდდებოდი, ეხლა-კი კვლავ სიბრაზე მომერია...

რა უნდა მეთქვა ოსტშინსკისათვის როცა შევხვდებოდი, მე თითონაც არ ვიცოდი...

საბედნიეროდ, ის იმისთანა ადამიანი არ არის, რომ პასუხის გაცემის მხრივ უარი უთხრას ვისმე. მერე რა მიზეზს მოვკიდო-მეთქი ხელი? ვფიქრობდი: წერილი ეშმაკურის მოხერხებით არის დაწერი. ოსტშინსკი თვითვე უარჰყოფს იმ აზრს, ვითომ მოხუცი მესტვირე გადაცმული მხატვარი არისო, ევასაც იფარავს, მაგ-

*) იხ. „ივერია“, № 13, 14, 16, 17 და 18.

იაპონურის ხურმისა, პრობკის ხის, დაფნის, წაბლის, ზეთის და სხ. ძვირფას მცენარეთა მოშენება. ბ-ნი ვასილიევი დარწმუნებულია, რომ ეს მცენარეები ძლიერ კარგად იხეირებს ზაქათალის მაზრაში და დიდს სარგებლობსაც მოუტანს ადგილობრივ მკვიდრთაო. ამიტომ უთხოვნია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის უსასყიდლოდ გამოეწერეთ 30 სხვა-და-სხვა თესლი და ნერგიო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ზესტაფონში მცხოვრებს ალექსი ნიორაძეს სამიწად-მოქმედო სამინისტროსათვის უცნობებია, რომ მე ფილოქსერის წინააღმდეგი საშუალება აღმოვაჩინე და სცადეთ—მართალია იგი თუ არაო. ბ-ნ ნიორაძის მიერ გამოგონილი წამალი სოფ. საქარაში გლეხის გოდერძიანის ვენახში უცდიათ, მაგრამ წამალს ფილოქსერისათვის ვერა დაუკლია რა.

⁂ წელს ჩვენს ქვეყანას ჰოტენბურგის მუზეუმის გამგე ფილოსოფიის დოქტორი—ანტონ სტუქსბერგი ესტუმრება. ამ ცნობილს სწავლულს სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნის გამოსარკვევად განუზრახავს ყირიმსა და კავკასიაში მოგზაურობა.

⁂ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას გამოწერილი აქვს და ჩქარაც მოუა ადესიდგან 500 ფუთი გოგორდი და 300 ფუთი შაბიამანი. ვისაც ჰსურს ნაცრისა და ობისაგან დაზიანებულს ვენახს უწამლოს, ამ საზოგადოებას უნდა მიჰმართოს და იგი ხსენებულს წამლებს იმ ფასადვე დაუთმობს, როგორც ფაბრიკაში ჰფასობს.

⁂ ყრმათათვის გამართულ საავადმყოფოში, როგორც ,,ნოვ. ობოზრ''-ს შეუტყვია, ამ ჟამად 12 ავადმყოფი ბავშვი წევს თურმე, რომელთ შორის 5 ქუნთრუშით არის ავად და 7 წითელით.

⁂ პატარძეულსა და ბერთუბანში საქონლის ჭირი გაჩენილა. 20 იანვრიდგან 69 სულს საქონელს შეჰყრია და მათ შორის 13 მომკვდარა.

⁂ გაზ. „ტიფ. ლის.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით აცნობებენ, რომ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ყარსისა და ბათუმის ოლქებში მიწად მფლობელობის უფლებათა საქმის გამორკვევა, შემდეგი კანონ-პროექტი შეამუშავაო: ყარსისა და ბათუმის ოლქებში არც ადგილობრივ მკვიდრთ და არც მისულთ არ შეუძლიანთ ხანგრძლივის მფლობელობის ძალით, მამულის დასაკუთრებაო; სასამართლოების ყველა გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ხანგრძლივის მფლობელობის გამო კერძო კაცთა აქვთ მამული დამტკიცებული, გადასინჯულ უნდა იქმნას განსაკუთრებულ სარევიზიო კამისიის მიერო. ყარსისა და ბათუმის ოლქებში ქალაქს გარეშე მდებარე მამულები, სამეჩეთო მამულების გარდა, სახელმწიფოს საკუთრებად უნდა იქმნას აღიარებული, ხოლო მცხოვრებთ უფლება მიეცემათ ისარგებლონ ამ მამულებით წინანდებურადაო. ამასთანავე კომისია იმ დედააზრს დაადგა, რომ საქალაქო მამულები თვით ქალაქების კუთვნილებად უნდა იქმნას ცნობილიო.

⁂ სოფ. ქვიშხეთი. ერთი მემამულე აგერ სამი წელიწადია თავის მამულში წაბლის ტყის მოშენებას შესდგომია და ამ ხნის განმავლობაში $1^1/_2$ დესეტინა მოუშენებია. წაბლის ჩქოლები მშვენიერად ჰხარობს თურმე და წელს კიდევ 5 დესეტინა უნდა დასთესოს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ზუგდიდი,** 1 თებერვალი. ჩვენს ზუგდიდსაც გაუხსნა მადა განდიდებისა: აწმყოთი უკმაყოფილო იწევს წინ რაც ძალი და ღონე აქვს. ზუგდიდმა განდიდება ისეთის კარგის საქმით დაიწყო, როგორც არის სასწავლებელი: თავისის ნაშრომნაღვაწითააშენა სამოქალაქო სასწავლებლისათვის ისეთი სახლი, რომ ბევრი დიდის ქალაქის სამოქალაქო სასწავლებელიც შეჰნატრებს. ახლა უნდათ შემოიღონ თვით-მმართველობა, რათა თავიანთი ავლა დიდების, შესავალ-გასავალის პატრონ-გამგენი თითონვე იყვნენ. ამბობენ, ამ დღეებში უმაღლესის მთავრობისაგან მოვიდა ქაღალდი, რათა ადგილობრივმა მთავრობამ შეატყობინოს თავისი აზრი, რომელიც საჭიროა თურმე მოქალაქეთა თხოვნის ასე თუ ისე გადასაწყვეტად. განზრახვა აქვთ ითხოვონ, რომ მალე იქმნას აქ დაარსებული საზინა; სცდილობდნენ და ეხლაც იმედი არ დაუკარგავთ ზოგიერთებს, სასულიერო სასწავლებელი სენაკიდგან აქ გადმოიტანონ. ძალიან მოწადინებული არიან, რომ რკინის გზის ლიანდაგმა ზუგდიდზედ გაიაროს.—ამ აზრით წარსულს წელს დეპუტაციაც-კი გაიგზავნა პეტერბურგში, და სხ... ერთის სიტყვით, სურვილი ბევრია და ვნახოთ რა გამოვა.

რაც არა გვაქვს, იმის შეძენა ხომ კარგია, მაგრამ რაც გვაქვს მისი გაუმჯობესებაც არ არის ურიგო. აი თუნდა ავიღოთ ჩვენი ფოსტის კანტორა: ყველგან, სადაც ამისთანა კანტორაა, ყოველთვის შეიძლება მარკის ყიდვა და უბრალო წერილის გაგზავნა, ჩვენი კანტორა-კი შუადღის ორ საათიდგან საღამოს ხუთს საათამდის მაგრად არის დაკეტილი.

მცხოვრებლებისათვის, ნამეტნავად სოფლელებისთვის, დიდად შემაწუხებელია ასეთი წესი.

არა ერთხელ მინახავს კანტორის კარებთან ატუზული ხუთის საათის მომლოდინე კაცი.

უთუოდ საჭიროა ფოსტის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა შევატყობინო „ივერიის“ მკითხველებს. ამ მოკლე ხანში აქ დაარსდა საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს დახმაროს ზუგდიდის ღარიბს მოსწავლეებს. პირველ საზოგადო კრებას ბ-ნმა სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა წაუკითხა საზოგადოების წესდება. ყველა იქ დამსწრემ (30 კაცზედ მეტი იყო) გამოაცხადა სურვილი წევრობისა. ამავე კრებამ ამოირჩია გამგეობის წევრები. ამ წევრების პირადი ღირსება იმედს გვაძლევს, რომ საზოგადოება ზრდისა და განვითარების გზაზედ მტკიცე ნაბიჯს გადასდგამს.

დიდის მადლობის ღირსია საზოგადოების მხრივ სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ცელოვალნიკოვი, რომლის ცდა-მოწადინებითაც დაარსდა ეს სასარგებლო საზოგადოება.

ერთი რამ გვეოცა: ასეთის საკეთილო საქმის კრებას მოქალაქენი, ვაჭრობის წარმომადგენელნი თითქმის სულ არ დაესწრნენ. იქნება საპატიო მიზეზი ჰქონდათ, მაგრამ ეს კი არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ საზოგადოებას იმათის შვილების კეთილ-დღეობა აქვს აზრად და ამიტომ მოვალენი არიან ყოველივე შემწეობა აღმოუჩინონ.

X.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მკითხველებმა უწყიან, რომ ამას წინად გაისმა ხმა კახეთის ვენახებში ვაზის ახალის სენის—ბლეკროტის გაჩენისა. ასეთი აზრი გამოსთქვეს ბ-ნთ: ვიალამა, ვორონინმა და ფრანკმა. პირველმა ორმა გადაჭრით სთქვა, ეგ სენი ბლეკროტიაო, ხოლო მესამემ იგივე განაცხადა უფრო სიფრთხილით-კი. სულ სხვა აზრისაა საქარის სანერგეს გამგე, უფროსი მეურნე ვ. ა. სტაროსელსკი, რომელსაც მიუწერია ამ საგნის შესახებ კავკასიაში მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის:

რამდენჯერმე გამოვიკვლიე კახეთის საუფლისწულო მამულებში აღმოჩენილი სოკო, რომელიც პროფესორებმა ვიალამ და ვორონინმა guignardia Bidweliu (ბლეკ-როტად) აღიარეს. ეხლა ჩემი შრომა უკვე დავამთავრე და იმ აზრს დავადექი, რომ ეს სენი ბლეკ-როტი არის. ამ უკანასკნელს ორს კვირაში ხელოვნურის კულტურის საშუალებით კადევნებდი თვალ-ყურს ამ ვაზის სოკოს განვითარებას და დავრწმუნდი, რომ იგი სრულიად განსხვავდება ბლეკ-როტისაგან და შეცდომა ყოვლად შეუძლებელია. გამოვიკვლიე საფერავისა და რქაწითელის ვენახების ვაზის ნაყოფი, რომელიც მე და ბ-ნმა სპეშნევმა ურიათუბნის საუფლისწულო ,,კიკიანთეულის“ ვენახიდგან წავიღეთ და დავრწმუნდი, რომ ორისავე ჯიშის ვაზი ერთისა და იმავე სოკოთია დაზიანებული. ზოგიერთს რქაწითელის ვაზზედ სოკოს ესრედ წოდებულს Coniothgrium diplodiella sacc საც შეხვდებით, რასაც ბ-ნი სპეშნევიც ამბობდა წინად. კახეთში ახლად ნაპოვნი სოკო ვაზისა შევადარე სამიკოლოგიო სოკოს, მწერლობაში ცნობილს Fh. tlaccida-ს და ერთგვარი ნიშნები აღმოაჩნდათ ორივესაო.

კახეთის ვენახის დაზიანებული ფოთლები სხვა სწავლულთაცა აქვთ გაგზავნილი, რომელთაც ჯერ თავისი აზრი არ შეუტყობინებიათ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ბ-ნ ვ. ა. სტაროსელსკის სიტყვები მართალი გამოდგეს და ჩვენი შიში ტყუილი.

⁂

დიდი ხანია, რაც მთავრობამ ნება დართო სასულიერო სემინარიებში კურს დამთავრებულებს ტომსკის უნივერსიტეტში უეგზამენოდ შესვლისა. სხვა უნივერსიტეტებშიაც-კი იღებენ ხოლმე სემინარიაში კურს-დამთავრებულებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა უმაღლესის მთავრობის განკარგულება. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ნაბიჯი საცდელად იყო გადადგმული სემინარიებისა და გიმნაზიების უფლებათა გასათანასწორებლად და, სასურველი შედეგიც მოჰყვა. დღეს არა თუ ტომსკის უნივერსიტეტში, სხვა უნივერსიტეტებშიაც თანდა-

რამ იმავე დროს სცდილობს ელენეს თვალებში დაამციროს, მე მაგიურს მიხდის კაზის წართმევისათვის და ბოლოს და ბოლოს სასაცილოდაც მიგდებს.

ჯანდაბა იმის თავს, ის არ დაეწერა მაინც, ვითომ ჰკუაზედ ვიყო შეშლილი. აღსრულდა!.. სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდი.

ელენე ყოველთვის კითხულობდა ,,მფრინავ ფურცელსა“ ოჰ! რა საძაგლობაა და ამასთან რა სასიამოვნო ამბავია ევასათვის! რა გახარებული იქნება ოსტშინსკი! უნდა მოუხერხო რამე მაგრამ, რა უნდა მექნა?..

ევას დავეკითხები-მეთქი, მომივიდა აზრად; ის დღეს თამაშობს... თეატრში მივირბენ და წარმოდგენის შემდეგ ვნახავ...

დრო საკმარისი მაქვს.

ნახევარ საათის შემდეგ იმის ჩასაცმელს ოთახში ვიყავი. ევა მალე გაათავებდა. მანამდე-კი აქეთ-იქით ვიცქირებოდი და ოთახის მორთულობას ვათვალიერებდი. ტაშის ცემა მოისმა, თავდება! ხალხი ჰყვიროდა: „ადამი, ადამი!“ გადის თხუთმეტი წუთი, კიდევ მოვიდა და კვლავ ყვირილი მოისმა.

შემოვიდა ევა თეოდორას ტანისამოსით... თავზედ გვირგვინი ედგა, თვალები უელვარებდა, ლოყები ცეცხლივით ანთებოდა. გაწეწილი თმები ზღვის ტალღებსავით ჰფარავდა იმის შიშველს ყელსა და ხელებს. ის ისე აღელვებული და დაღალული იყო, რომ ძლივს ღა მოახერხა ამისი თქმა: „როგორა ხარ ვლადეკო?.. გვირგვინი მოიგლიჯა დედოფლის ტანისამოსითვე ტახტზედ გადაესვენა, ეტყობოდა სიტყვის თქმა არ შეეძლო, რადგან გაჩუმებული მიქცეროდა დაქანცულ ფრინველსავით. გვერდით მოუჯექი, შუბლზე ხელი დავადე და იმისმა ფიქრმა გამიტაცა... ამ სასცენო ფერ-უმარილით მოხაზულს თვალებში ჯერ კიდევ დაუმცხრალს ცეცხლსა ვხედავდი, შუბლზე ხელოვნების ბეჭედი აჯდა. ოჰ, როგორა სწირავს თეატრს ეს ყმაწვილი ქალი თავის სისხლს, ჯანის სიმრთელეს, სიცოცხლეს!., ისეთი შებრალება ვიგრძენი, ისეთი თანაგრძნობა, რომ არ ვიცოდი რაღა მეთქვა...

რამდენსამე წუთს გაჩუმებულნი ვისხედით. ბოლოს ევამ მიიშვირა ხელი „მფრინავ ფურცლის“ ნომრისაკენ, რომელიც იქვე იდო, და ნელის ხმით ამოიკითხა:

— ძალიან მეწყინა, ძალიანაო!

უცბად ტირილი დაიწყო და ფურცელსავით თრთოლა-კანკალი მოუვიდა.

კარგად ვიცოდი, რომ ამ ცრემლების მიზეზი მოქანცულობა იყო და არა „მფრინავ ფურცლის“ წერილის წაკითხვა, ვიცოდი, რომ ეს წერილი მტკნარი სისულელე იყო, მაგრამ მაინც გული უფრო და უფრო მიღელავდა. ვტაცე ხელებში ხელი და კოცნა დავუწყე, ვათბობდი, გულში ვიკრავდი, გული მიცემდა. გონება-დაბნეული დავიჩოქე ევას წინ, რაღაც ღრუბელი გადამეფარა თვალებზედ და უცბად კი გადავეხვიე.

— ვლადეკ, ვლადეკ, შემიბრალეო; ჩურჩულით ამბობდა ევა.

მაგრამ მე უფრო მაგრად ჩავიკარი გულში, ველარაფერს ველარა ვგრძნობდი, გონება დავკარგე... ვუკოცნიდი შუბლს, თვალებს, ტუჩებს და თან ვამბობდი:

— მიყვარხარ! მიყვარხარ!-მეთქი.

უცბად ევამ თავი უკან გადიგდო, ხელები თრთოლვით მომხვია ყელზედ და მიპასუხა:

— მეც დიდი ხანია მიყვარხარო!.,

XVI

თუ ევაზედ მეტად ქვეყანაზედ ვინმე მიყვარდეს, საძაგელი კაცი ვიყო.

ამბობენ, ვითომ ჩვენ, არტისტები, წუთის ზედ-მოქმედებას ვემორჩილებოდეთ. შეიძლება საზოგადოდ ასეც იყოს, მაგრამ ეხლა-კი ტყუილია. თურმე ევა დიდი ხანია მყვარებია, მაგრამ მე ისეთი ვირი ვყოფილვარ, რომ აქამდე არ ვიცოდი.

მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის, რასაც ვგრძნობდი, როდესაც ევას ვაცილებდი იმ საღამოს სახლში... ხელი ხელს ჩაკიდებულნი მოვდიოდით... მხოლოდ ხანდახან მივიკრავდი ხოლმე იმის ხელს გულზედ, ის — ჩემსას. ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი... კიბეზედ ავედით და როდესაც იმისს სასტუმრო ოთახში შევედით, გვევიწროვა იქაურობა, ერთმანერთისათვის თვალებში შეხედვა ვერ გაგვებედნა.

როდესაც ევამ პირი-სახეზედ ხელები მიიფარა, მე ჩამოვაცალე და ვკითხე: ჩემი ხარ-მეთქი, არა, ევა?

ევა მომეკრა.

— ჰო, ჰო!

ისეთი მშვენიერი იყო, იმის თვალებში ისეთი დაქანცულობა გამოიხატებოდა, რომ თვალი ველარ მოვაშორე.

სახლში გვიან დავბრუნდი. სვიატეცკის ჯერ არ ეძინა. ლამპარის შუქზედ ერთის ნახატებიან ჟურნალისათვის რაღასაც ჰხატავდა.

— შენს სახელზედ წერილი არისო, სთქვა და კვლავ განაგრძო მუშაობა.

წერილი ავიღე და თითებით კონვერტში ბეჭედი გავარჩიე. ძალიან კარგი, ხვალ გამომადგება მეთქი! ვიფიქრე. გავხსენი წერილი და აი რა ეწერა: „მგონია ამ ბეჭდის დაბრუნება გესიამოვნებათ, რადგანაც, ეჭვი არ არის, ამას თქვენვე მოელით. მე-კი უნდა მოგახსენოთ, რომ არა მსურს მეტოქე ვიყო არტისტის ქალებისა. კ.“

მადლობა ღმერთს, მოკლედ არის მაინც!

რისხვით, მხოლოდ რისხვით არის წერილი სავსე. საკვირველი საქმეა: ყველანი იმასა ფიქრობენ, რომ ვითომ უმთავრესი მიზეზი ჩემის მესტვირედ მორთვისა და ამ სახით სიარულისა ევა ყოფილიყოს. დიაღ, სწორედ ევა იქნება უმთავრესი მომქმედი ჩემს მომავალს ცხოვრებაში.

კაზის წერილი დავჭმუჭნე, ჯიბეში ჩავიდე და დასაძინებლად წაველი. სვიატეცკიმ მუშაობას თავი დაანება და დამიწყო ცქერა, ეგება სთქვას რამეო, მაგრამ გაჩუმებული ვიყავი.

— წარმოდგენის შემდეგ აქ იყო ფლიდი ოსტშინსკიო, მითხრა სვიატეცკიმ.

(დასასრული იქნება)

თან ჰმატულობს სემინარიაში კურს-დამთავრებულ სტუდენტთა რიცხვი. ამის შესახებ „რუსკ. ვედ." კორესპონდენტი სწერს ტომსკიდგან, რომ

სემინარიაში კურს დამთავრებულთა რიცხვი დღითი-დღე ჰმატულობს და 1892 წ. 1895 წლამდე ამ რიცხვმა ერთი-სამად და ერთი ოთხად იმატაო. ეს გარემოება ცხადად ასურათ-ხატებს სემინარიელთა მისწრაფებას უნივერსიტეტებში უმაღლესის განათლების მისაღებად.

უფრო საყურადღებო ის არის, რომ სემინარიელი სტუდენტები უკეთესადაც სწავლობენ უნივერსიტეტებში და ჩინებულად ითვისებენ მეცნიერებასო".

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლოს მომავალში სემინარიებს იგივე უფლება მიენიჭება, რაც გიმნაზიებს, რაც დიდად სასარგებლო იქნება ქართველთათვისაც, რომლის მოზარდი თაობა უფრო სემინარიებში ამთავრებს სწავლას.

## რუსეთი

გაზ. „ლუჩ"-ის სიტყვით მომავალს გაზაფხულზედ ბელოსტოკის მახლობლად გაიმართება რუსეთის ჯარის ალლუმი, რომელსაც დაესწრებიან: ავსტრიის იმპერატორი, გერმანიის იმპერატორი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამბობენ, რომ ავსტრიის იმპერატორი ალლუმის დროს ჩამოხდება გრაფ როდიგერის-დაილიდის მამულში; გერმანიის იმპერატორი—ხოროშჩში, ბ-ნ მოესეს მამულში და საფრანგეთის პრეზიდენტი-კი— მაირომპოლის დრაგუნის ჯარის სახლებშიო.

—

პეტერბურგის ფაბრიკის პატრონებს განუზრახავს თავისის ხარჯით დააარსონ პეტერბურგში საფეიქრო სასწავლებელი სამის წლის კურსით. ეს სასწავლებელი დაექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, რომელიც ეხლა აუდგენს ამ სასწავლებლის წესდებას.

—

მოსკოვში განუზრახავთ დედათაკლუბის დაარსება. ამ დღეებში იქნება თურმე ახალის კლუბის დამაარსებელთა პირველი კრება.

—

მთავრობას განუზრახავს აღმოსავლეთ-სამხრეთის გუბერნიებში საფიზიკო და საგეოგრაფიო გამოკვლევანი დაიწყოს. საელექტრონო, სამაგნიტო სამეტეოროლოგიო გამოკვლევათა სადგურები დაარსებულ იქნება ამ გუბერნიების უმთავრესს ქალაქებში.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთს „პეტ. ვედ." ფრანგული გაზეთი „Caulois"-იდან მოჰყავს შემდეგი აზრი ინგლისის ერთის საპოლიტიკო მოღვაწისა:

„... ჩემის აზრით, ერთობ საშიშ მდგომარეობაშია ოტტომანის სახელმწიფოო, უთქვამს დიპლომატს. ევროპის სახელმწიფოებს თუ ამ საფრთხის თავიდგან აცილება ჰსურთ, ძალით უნდა შემოაღებინონ სულთანს ცვლილებანი ოსმალეთშიო. რაც შეეხება სახელმწიფოებს, ყველა მათგანს მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები აქვს და მეტი არაფერი. ინგლისი ძლიერ უფრთხის შეიარაღებულის ძალით მოქმედებას, რადგანაც სამართლიანად ეშინიან თავისს მაჰმადიან ქვეშევრდომთა უკმაყოფილებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევისა. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა სრულიადაც არ ადგას მაკიაველის იმ პოლიტიკას, რომლის ბრალსაცა სდებენ სხვა სახელმწიფოები. რუსეთი-კი, რომელსაც როგორც ჩინებული გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ჩინებულად გაწყობილი მხედრობა, უწყობს ხელს საუკეთესო ლუკმა ირგუნოს საზოგადო ნადავლიდგანა, ყოველს ღონესა ჰხმარობს მომაკვდავის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„აი ეს გახლავთ ნამდვილი სურათი ამ ორის სახელმწიფოს პოლიტიკისა. ადვილად მისახვედრია, რომ ამ გვარს გარემოებაში მყოფი ავსტრია ინგლისისკენ იშვერს ხელს, რადგანაც, თუ ვინიცობაა ოსმალეთის განაწილება მოხდა, ეშინიან, ცარიელზედ არ დავრჩეო. იტალიაც ინგლისს უწვდის სამეგობროდ ხელს და იმასაც თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს. მაგრამ არ მესმის საფრანგეთი, ეს აღმოსავლეთში ქრისტიანეთა ინტერესებისთვის ძველთაგან მებრძოლი სახელმწიფო, რომლის დიდებაც ლევანტოში მხოლოდ ამ გარემოებაზედ იყო დამყარებული,—რადა ჰღალატობს თავისს ჩვეულებას... საფრანგეთის ასეთი საქციელი მხოლოდ იმითი უნდა აიხსნას, რომ იგი ერთობ ძვირად აფასებს რუსეთის მეგობრობას.

„დიაღ, ასეთი გახლავთ დღეს ევროპის პოლიტიკის მდგომარეობა... მხოლოდ ერთად-ერთი ძლიერი სახელმწიფო სდგას განყენებულად და არ იღებს მონაწილეობას ევროპის სახელმწიფოთა საზოგადო კონცერტში. ეს არის თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანია. დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ ის იტალიისა და ავსტრიის მხარეს დაიჭერსო, მაგრამ ჯერ-კი გარდაწყვეტილის რისამე თქმა ძნელია.

„იმპერატორი ვილჰელმიც განცალკევებითა სდგას და ადამიანს ასე ეგონება, რომ ის არავითარს ყურადღებას არ აქცევს აღმოსავლეთის საქმესაო. მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება. ევროპის სახელმწიფოთა შორის გერმანია უძლიერესს სახელმწიფოს წარმოადგენს... ევროპის სახელმწიფოთა ძლიერება მალე შეიცვლებოდა, მალე გადაიხრებოდა დღეს ასე სწორედ მდგარი სასწორის ჯამი ერთის რომელისამე სახელმწიფოსაკენ ოსმალეთის განაწილების დროს, რადგანაც ძლიერი სახელმწიფოები ეცდებოდნენ თავისის სამფლობელოს გადიდებას. ეს სასწორის ძლიერებისაკენ გადახრა-კი უეჭველად საზარალო იქნებოდა იმ პატარა სახელმწიფოთათვის, რომელნიც მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ოსმალეთის განაწილების დროს. ამიტომაც გერმანია გაფაციცებით ადევნებს თვალყურს აღმოსავლეთის საქმეს.

„მეორეს მხრით, ყველა სხვა სახელმწიფოთა შორის უფრო გერმანია ადევნებს გულ-დადებით თვალ-ყურს სარწმუნოების საქმეს. ეს ცხადად სჩანს იმპერატორის ვილჰელმის მოქმედებისაგან, მისის სიტყვებისაგან... მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ის სულგანაბული შესცქერის აღმოსავლეთის საქმეს... გერმანია, რომელიც ყოველთვის სხვაზედ უწინ გამოდის ჩაგრულთა დაცვის ასპარეზზედ, ამ შემთხვევაში სულ-გაკმენდილია, უსიტყვო მოწმეა...

„ის ჯგუფი სახელმწიფოთა, რომელსაც მიემხრობა გერმანია, უეჭველად გაიმარჯვებს აღმოსავლეთის საქმეში. გრაფ გოლუხოვსკის ბერლინში მისვლის მიზეზი ის იყო, რომ მას სურდა ვილჰელმი მიემხრო ავსტრიისაკენ. გრაფი მურავიევიც ამაოდა სცდილობდა გერმანიის, რუსეთისა და საფრანგეთისაკენ მიმხრობას. თვით საფრანგეთიც-კი სცდილობს გერმანიისა და რუსეთის დაახლოვება-დამეგობრებას, თუმცა ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს... მაგრამ ჯერ ვერც ერთმა ვერ მიაღწია თავისს სურვილს და ვილჰელმი ისევ ისე სულ-განაბული შესცქერის აღმოსავლეთს. რა თქმა უნდა, მიზეზიც ექმნება ასე გაჩუმებისა. სად უნდა ვეძებოთ ეს მიზეზი? ინგლისი ძლიერა სცდილობს ამ მიზეზის მიგნებას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთის საქმის ნასკვს ის გამოხსნის, ვისაც გერმანია მიემხრობაო".

—

**ოსმალეთი.** გაზეთი „Viss Ztg"-ი ამბობს, რომ ევროპის დიპლომატებმა თუ სასტიკი ღონისძიებანი არ მიიღეს, საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მიუცილებლად გაჩაღდება ბრძოლის ცეცხლიო. საბერძნეთში საზოგადოება იმ აზრისა არის, რომ მთავრობამ ძალით უნდა დაიპყრას კრიტიო. თუმცა ათინის ქუჩებში საომრად მოწოდების ხმა ერთობ მალე მისწყდება ხოლმე, მაგრამ დღეს საქმეთა მდგომარეობა მაინც გამწვავებულია. კრიტიდგან კონსულების გაქცევა ცხადად ამტკიცებს, რომ იქ საშინელი არეულობა ჰსუფევს. დადგა დრო, როცა ბრწყინვალე პორტამ, თავისის ჩვეულების წინააღმდეგ, დაპირებისამებრ უნდა შემოიღოს ოსმალეთში ცვლილებანი და დააკმაყოფილოს კრიტელთა კანონიერი მოთხოვნილება. ყოველი დაგვიანებული საათი ძვირად დაუჯდება ოსმალეთს. ეს იქიდგანაც ცხადადა სჩანს, რომ კრიტის ნაპირებისაკენ საფრანგეთმა რამდენიმე ჯავშნიანი გემი გაგზავნაო...

კანეიაში საბერძნეთის ესკადრის უფროსს ესტუმრა ინგლისის მთავარსარდალი. ამის გამო ათინაში გამართეს დემონსტრაცია, რომელშიაც 3,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. ხალხი შეიკრიბა ზღვათა სამინისტროს სადგომთან და ხმა მაღლა იძახოდა: „გაუმარჯოს კრიტს! გაუმარჯოს მეგობრულს კავშირსაო"!..

### წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

25 იანვარი.

რამაზანი დაიწყო. მზადებაა სულთანის ეიუბის მეჩეთში წასაბრძანებლად. ორი გზა, რომელიც მიდის სულთანის სასახლიდან ეიუბის მეჩეთამდის, სასტიკად არის დღეიდგანვე დაცული. ეს ორი გზა, რომელზედაც შეიძლება სულთანმა ინებოს გავლა, არის არა ნაკლებ თითო ხუთხუთის ვერსისა. სანამ გამგზავრების დრო არ მოვა, არვინ იცის სულთანი ამ ორ გზაში რომელს ამოირჩევსო. ეს ორი გზა-კი ყველა სხვა გზებზედ უგანიერესი და უსწორესია მთელს კონსტანტინეპოლში. რამაზანის პირველ დღიდანვე დაუწყეს თვალ-ყურის გდება ამ გზებს. ერთი ამ გზათაგანი გადადის სასახლიდგან ევროპიულ მხარის ბეგ-ოღლის დიდს ქუჩაზედ (Grand Rue de Pera), გადის ძველს ხიდზედ და მიიმართება დასავლეთის მხრიდგან ეიუბის ჯამეზედ (მეჩეთია), მეორე გზა სასახლიდგან (ილდიზ- კიოსკიდგან) გალატის დიდ ქუჩაზედ (Gran-Rue de Galata) მიდის, ახალს ხიდს აღმოსავლეთის მხრიდგან უვლის, წმ. სოფიას ტაძარს (აგია-სოფიას ჯამე) გვერდზედ ჩაუვლის და ეიუბის მეჩეთს მიაღწევს.

ეს მოგზაურობა ხდება წელიწადში ერთხელ, რამაზანის მეთხუთმეტე დღეს. თითქმის ილდიზ კიოსკიდგან მოკიდებული ამ ორსავე ქუჩაზე ეიუბის ჯამემდის ჩაწკრივებულია: დუქნები, მაღაზიები და სახლები. სხვა მრავალს სიფრთხილეს წრეულს ისიც დაერთო, რომ ყველა ამ ქუჩაზედ მყოფი დუქანი და სახლი სათითაოდ ასწერეს: ვინ რომელ სახლში სდგას, რომელს დუქანში ვინა ვაჭრობს, რამდენი მკვიდრია თითოეულს სახლში ანუ დუქანში: რა რჯულისაა და რა გვარის, ვისი ხელ-ქვეითი, რა მოხელე და სხ. სასტიკი ბრძანება მიეცა ყველა აქ აღწერილებს, რომ არავინ გაჰბედოს ვისიმე სტუმრად მიღება ამ დღეს. დაყენებულია ყველა ქუჩის მისახვევ მოსახვევებში პოლიციელი და ორ-ორი ჟანდარმი. ქუჩებსაცა ჰსინჯავენ, რომ ქვეშ არა იყოს-რა ასაფეთქებელიო. ხალხი ძალიან დაშინებულია, თითქოს ყოველ დღე რაღაცას ელიან საშინელს, ბევრად უარესს იმაზედ, რაც უკვე ორჯელ მოხდა წარსულ წელს.

სამხედრო სასწავლებლების დირექტორი თევფიკ-ფაშის გაქცევამ და დელი-ფუატ-ფაშის სულთანთან დაახლოვებამ ძალიან შეაშინა აქაური ქრისტიანები. ამ რამდენისამე დღის წინად, ერთმა ვიღაც მგზავრმა, რომელიც ევროპიდგან მოვიდა საფრანგეთის გემით, მენავეს მისცა თურმე ერთი პატარა ზანდუკი და უთხრა ეს ზანდუკი ისე გაიტანე, რომ საბაჟოს არ აჩვენო და საჩუქარს მოგცემო. მევაიხჩემ (მენავემ) ძალიან ოსტატურად გაიტანა ზანდუკი; მხოლოდ ბოლოს დაფიქრდა და სანამ პატრონი გამოვიდოდა, პირდაპირ პოლიციაში გასწია. ეს ზანდუკი გახსნეს და აღმოჩნდა, რომ დინამიტით იყო სავსე. ხელად ისევ დაბეჭდეს, ჩქარა გამოაქციეს უკან მენავის ხელითვე, რომ ეგებ პატრონი დავიჭიროთო, მაგრამ ვერას გახდნენ, არავინ გამოცხადდა. გუშინ ღამ კიდევ ოტომანის ბანკის გვერდზედ ერთ სახლში დაიჭირეს ორი კარგა მოზრდილი ზანდუკი დინამიტებით სავსე. ამ გვარად ნაპოვნი დინამიტი თოფ-ხანაში წაიღეს.

ყოველ ქუჩაზედ, სადაც გზას ასწორებენ, თუ ეს ქუჩა ახლოა ჯამესთან, პოლიციელი ჯაშუშებით სდგანან, რომ ქვების ჩაწყობის დროს ასაფეთქებელი არაფერი ჩააყოლონო. თათრული გაზეთები, რომელიც ევროპაში ისტამბება, ძალიან გახშირდა აქ ამ ბოლოს დროს ინგლისის ფოსტის წყალობით. ხმა დადის ვითომ სომხების მეამბოხენი და ახალგაზდა ოსმალთა დასი შეერთდნენო. მაგრამ დასაჯერებელი არ არის, რადგან ახალგაზდა ოსმალთა დასი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. აქ ყველაზედ საშიშარი დღეს ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულის დემონსტრანციის მოლოდინია. თუ ეს უკანასკნელი, როგორც ევროპის გაზეთები გვარწმუნებენ, მართლა მოხდა, ვიდრე დემონსტრაცია აქამდის მოაღწევდეს, აქ ერთი ქრისტიანი არ დარჩება ცოცხალი; ოსმალთა ახალი და ძველი დასი შეერთდება და ერთად დაიწყებენ ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტას, რის მაგალითადაც ოტომანის ბანკის თავდასხმის გამო მომხდარი ამბავიც კმარა, როცა ყველანი წოდებისა და დასის განურჩევლად, სომხებს ჰხოცავდნენ, როგორ გაჰბედეს ოსმალეთის საერთო ინტერესის წინააღმდეგ მოქმედებაო. თვით ისინიც-კი, რომლებიც დღევანდელის მთავრობის საშინელნი წინააღმდეგნი იყვნენ, ასე გაიძახოდნენ: „ჩვენ მარტო ის გვინდა, რომ ეხლანდელი წესი ქვეყნის მართვისა უკეთესად შეიცვალოს და მიდხად-ფაშის კონსტიტუცია მოგვეცეს, ოსმალეთის დაღუპვა-დაქცევას და სომეხთა განთავისუფლებას კი სულაც არა ვართ მოწადინებულიო.

ახალი პოლიციის მინისტრი კარგად განათლებული კაცია, მხოლოდ ადმინისტრატორად ისევ ნაზიმ ფაშა სჯობდაო, ამბობენ.

იასე რაჭველი

### სასამართლოს მატიანე

ქ-ნ ო. მ. აფუტინისა და ა. მ. ახნაზაროვის სადიფამაციო საქმე.

გუშინ, 7 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საჩივარი ელენე ივანეს ასულის სლივიცკისა, რომელიც ოლგა მიხეილის ასულს აფუტინისა და გაზ. „კავკაზის" თანამშრომლად ნამყოფს ა. მ. ახნაზაროვს სასჯელთა დებულების მე-1039 მუხ. მოხსენებულს ბრალს, ე. ი. ცილის დაწამებას აბრალებდა დასტამბულის სიტყვის შემწეობით.

თავმჯდომარეობდა ი. ო. პარჩევსკი, წევრებად იყვნენ ა. ვ. პადალკო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე კ. ნ. ვეის-ფონ-ვეისენგოფი, მდივნად თანაშემწე მდივნისა გ. გ. ბარუჩევი.

აი ვითარება ამ საქმისა: გაზ. „კავკაზ"-ში დაიბეჭდა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქ-ნი აფუტინისა სასტიკად ეპყრობა თავისს შვილებსა და საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებასაო. შემდეგ, მე-205 №-ში, კვლავ დაიბეჭდა შენიშვნა რედაქციისა, თვით ქ-ნ აფუტინის სიტყვით დაწერილი, რომელშიაც პირველი ამბავი ცილის-წამებად არის წოდებული და ნათქვამია, რომ ეგ ცილის წამება შეთხზულია ჩემთა არა კეთილის მდომთაგან, რომელთა შორის ქ-ნი ს—ცკიც არისო.

აი ამ მეორე შენიშვნის გამო 8 აგვისტოს, 1896 წ. ელენე სლივიცკისამ საჩივარი მისცა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს, რომელშიაც სთხოვდა დაესაჯათ ქ-ნი აფუტინისა და გაზ. „კავკაზის" თანამშრომელი ა. მ. ახნაზაროვი ჩემის პატიოსნებისა და კეთილის სახელის შეურაცხებისათვისაო. ამასთან მოწმეებსაც ასახელებდა, მაგრამ რის

დასამტკიცებლად, ეს არა სჩანდა.

საქმის განხილვის დროს გამოცხადნენ მომჩივანი, რომელმაც თავის ვექილად ამოირჩია ვილაც არისტოვი ⁊ ბრალდებულნი: ქ-ნი აფუტინისა, რომელსაც იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ქალანთაროვი, და ახნაზაროვი, რომელმაც განაცხადა, რომ მე თვითვე დავიცავ ჩემს თავსაო. ამასთანავე ახნაზაროვმა წარუდგინა მოწმობა „კავკაზის“ რედაქციის თანამდებობის დროებით აღმასრულებლისა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა, რომელშიაც იყო ნათქვამი, რომ ახნაზაროვს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ზემოხსენებულ წერილების შედგენა'ში, ეს წერილები დაწერილია თვით რედაქციის მიერ, ქ-ნ აფუტინის სიტყვისამებრო, ამასთან განაცხადა: როგორც ჰსჩანს ჩემ მიერ წარმოდგენილ მოწმობიდგან, მე ეგ შენიშვნა არ დამიწერია და თუნდა დამეწეროს კიდევაც პასუხის-მგებელი რედაქტორ-გამომცემელი უნდა იყოს და არა მე, მისი თანამშრომელი, როდესაც ხელ-მოუწერილი წერილები იბეჭდება გაზეთში. რედაქციაში თანამშრომლობის დროს ხშირად ათისა და თხუთმეტის შენიშვნის დაწერა გვჭირდება ხოლმე, მაგრამ ყოველ შენიშვნისათვის, რომ სამართალში გვაძლევდნენ მაშინ იძულებულ ვიქმნებოდით 365 დღე სასამართლოში გაგვეტარებინაო. ამ გვარად ელენე სლივიცკისას არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არა ჰქონდა ჩემზედ ეჩივლა და გთხოვთ მისი ბრალდება არა კეთილ-სინიდისიერად იცნოთო.

ბ-ნმა ქალანთაროვმა სთხოვა გაემართლებინათ ქ-ნი აფუტინისა, რადგან, ჯერ, ერთი ეგ შენიშვნა რედაქციის დაწერილია და, მეორე, მაგისთანა შენიშვნის დაწერაც არ შეადგენს ისეთს ბრალს, რომ მაგის გამო სამართალში იქმას ვინმე მიცემულიო.

ქ-ნ სლივიცკაიას ვექილმა არისტოვმა სთხოვა უეჭველად დაესაჯათ ქ-ნი აფუტინისა, რადგან რედაქციას იმისი ნალაპარაკევი დაუწერია, მაშასადამე, ცილის-მწამებელი იგიაო, და რაც შეეხება ბ-ნს ახნაზაროვს, დაიბარეთ ჩემ მიერ დასახელებული მოწმები და მე დავამტკიცებ, რომ ეგეც დამნაშავეა ამ საქმეშიო.

სასამართლომ კარგა ხნის თათბირს შემდეგ შემდეგი განაჩენი დაადგინა: ქ-ნი აფუტინისა და ბ-ნი ა. მ. ახნაზაროვი მართლად და უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნიო.

## ნაწყვეტი

ბულბულის მღერა-ვედრება
იამ არ შეიწყნარაო,
გაწყრა ბულბული, გაფრინდა
და ვარდი შეიყვარაო,
იწყინა იამ, ატირდა,
მდუღარე ცრემლი ღვარაო,
ბევრი ნაღვლისგან მიწისკენ
თავ-პირი ჩაიხარაო.

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

(ვეისი)

მხნეობა და მედგრად სვლა თვისებაა ახალ-გაზდისა, ზომიერება—მოხუცისა.

ბედნიერება და კეთილ-დღეობა ქვეყნისა მაშინ არის, როცა ეს ორი თვისება ერთმანეთთან ბედნიერად შეუღლებულნი არიან.

***

ერთი მტერი უფრო მეტს ბოროტს იქმს, ვიდრე ოცი მეგობარი კეთილს.

***

გნებავთ იცოდეთ საგანი თქვენის ცხოვრებისა? დასდევით აღთქმა მიახწიოთ იქამდე, რომ არა კაცს არ ჰქონდეს სიმართლე სთქვას, ვითომც იგი თქვენზე უფრო პატიოსანია.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

როცა ინგლისის ელჩმა ლაიარდმა 1850 წელს გამოიძია ნანგრევები ასსურელთა სატახტო ქალაქისა, რომელსაც ნინევია ერქვა, მაშინ აღმოაჩინა ერთი დიდი დარბაზი სიგძით 24 საჟენი, სიგანით 3 საჟენი. ნახევარ არშინის სიმაღლეზე მთელი ეს დარბაზი სავსე იყო ოთხ-კუთხიან ქვების ფილაქანითა და ეს ოთხ-კუთხიანი ქვები ძველის-ძველ ნაწერებით იყო აჭრელებული. ზოგი ამ ქვებისა შავი იყო, ზოგი მწვანე, ზოგი იის ფერი და სხვ. ასოები ისე წვრილად ნაწერია, რომ თუ არ ბროლის მინით, წაკითხვა შეუძლებელია. აქედამ ის აზრი გამოჰყავთ, რომ ბაბილონელებს სცოდნიათ გამადიდებელ მინის ხმარება.

ზოგიერთს მსწავლულს ჰგონია, რომ ნაპოვნი ლაიარდისა ასსურეთის სახელმწიფოს არქივია და ასსურმანიპალის (სარდანაპალის) ბიბლიოთეკაა. ასსურმანიპალი, ანუ სარდანაპალი ჰმეფობდა 660 წლიდამ 649 წლამდე ქრისტეს წინედ. სულ ნაპოვნია ათი ათასზე მეტი ფილაქანი ქვისა. ამაებზე დაწერილია სხვა-და-სხვა საგნის შინაარსი. აქ გრამატიკაც არის, ისტორიაც, კანონებიც, მითოლოგია, ბუნების-მეტყველება, ასტრონომია, ასტროლოგია. თვითეული ფილაქანი წარმოადგენს გვერდს წიგნისას და ერთი-ერთმანეთზე ისეა დაწყობილი, რომ მთელს წიგნს შეადგენს და ერთს ადგილას აწყვია. ყოველივე ეს გადატანილია ლონდონში და ბრიტანიის მუზეუმშია დალაგებული. ხოლო რამდენიმე ფილაქანი, მოპარული მუშათაგან, სხვა-და-სხვა ევროპის ბიბლიოთეკებშია შესული. განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი წყობა ამ გვარის ნაწერებისა, რომელიც შესდგება 12 ფილაქნისაგან. არქეოლოგს სმიტს მოუხერხებია ამაების წაკითხვა. ამაში აწერილია წარღვნა და მისი ამბავი კარგა დაწვრილებით. სხვათა შორის მოთხრობილია ერთის ვილაც კაცის ცხოვრების ამბავი და მისი თავგადასავალი წარღვნის დროს, ხოლო სახელი ამ კაცისა ვერ აღუდგენიათ, რადგანაც იდიოგრაფიულ ნიშნებით არის აღნიშნული და ამ ნიშნების საიდუმლოება ჯერ გამოცნობილი არ არის.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ის ქვაზე ნაწერნი, რომელნიც დღეს ლონდონში არიან ბრიტანიის მუზეუმში, გადმოწერილია ასსურბანიპალის ბძანებით სხვა უძველეს ნაწერებიდამ მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს წინად. უძველესი ეგზემპლიარი ყოფილა შენახული ერეხში. ერეხი იყო „წიგნთა ქალაქი“. ეგრე ჰრქმევია ამ ქალაქს, რადგანაც ქალდეველთა მეფეებს აქ დაუფუძნებიათ ძლიერ დიდი ბიბლიოთეკა. მეცნიერებას საბუთი აქვს სთქვას, რომ დედანი, რომელიც ერეხში ყოფილა, არსებულა 1700 წელიწადი მაინც ქრისტეს წინად. მაშასადამე ერეხის ბიბლიოთეკა მოსე წინასწარმეტყველის უწინარეს არსებულა და უნდა ჩაითვალოს უძველესს ბიბლიოთეკად მთელს ქვეყნიერებაზე. (პ. ი ლ.)

***

ამას წინად მოვიხსენიეთ ორ-თავიან რკუს ამბავი. ეხლა გვაუწყებენ გაზეთები, რომ ოთხ-ფეხა ფრინველიც თურმე უნახავთ. ვილაც ტეგეტმეიერი სწერს ერთს ჟურნალში, რომ მე ჩემის თვალით ვნახეო ორი სხვა-და-სხვა გვარი ფრინველი, რომელთაც ორ-ორი წყვილი ფეხი ჰქონდათო. ერთი ხოხობი იყო და მეორე მტრედიო. რა წამსაც ამისთანა მახინჯები გამოიჩეკნენ კვერცხიდამ, მაშინვე სული დალიესო. ამისთანა შემთხვევა სამიც სხვა თურმე უნახავს ამ უცნაურ ამბის ავტორსა.

(პ. ი ლ.)

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქ-ნს მაკრინე ვასილის ასულს ჩიკვაიძისას, რომლის თაოსნობით 27 დეკემბერს ქ. ქუთაისში გაუმართავთ საღამო „მასკარადი“ ჩვენს და კიევის უნივერსიტეტის ერთის ქართველ სტუდენტის სასარგებლოდ. ამ საღამოსაგან ხარჯს გარდა შემოსულა 138 მ. 49 კ., რომლიდგანაც ჩემთვის გადადებული 88 მ. 89 კ. უკვე მივიღე ქ-ნ ჩიკვაიძისაგან.

ხარკოვის სტუდენტი დავით მგელაძე.

# დეპეშა

5 თებერვალი

**ლონდონი.** ო'კონორმა წინადადება მისცა საზოგადოებათა პალატას, სხდომა შევწყვიტოთ, რომ კანდიის გაჭირებულს მდგომარეობას ყურადღება მივაპყროთო. ბრიტანიის ერი საზოგადოდ საბერძნეთის საქციელს იწონებს. ბალფურმა უპასუხა: ამ საგნის შესახებ სჯა-ბაასი მოუხერხებლად მიმაჩნია: ეს არც კრიტისათვის, არც სულთანის აზიელ ქვეშევრდომთათვის და არც ევროპის სასარგებლო არ არისო. ეხლანდელი მდგომარეობიდგან თავის დასახწევად მხოლოდ ორი გზა არის: ან ოსმალეთის საქმეებში სულ არ ჩავერივნეთ, დეე, ისე იმდინარეოს, როგორც უნდა, ან დიდი სახელმწიფონი შეერთებულის ძალ-ღონით ცვლილებათა შემოღებას ვეცადნეთო. ის პოლიტიკა, რომელიც თხოულობს, რომ ბერძნებმა თავიანთის სურვილისამებრ და არა დიდ სახელმწიფოთა მინდობილებით, შემოიღონ კრიტში ცვლილებანიო, უთუოდ ევროპის ომს გამოიწვევსო. ყოვლად შეუძლებელია დაცულ იქმნას „ევროპის კონცერტი“ მარტო ამ საგნისათვის, რომელსაც კავშირი აქვს ოსმალეთთან, ⁊ არა საზოგადოდ ყველასათვის საერთოდაო. მთავრობა მხოლოდ ერთადერთს შესაძლებელს გზას ადგას და ეს გზაა „ევროპის კანცერტის“ საშუალებით საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტაო. ო'კონორმა თავისს წინადადებაზედ უარი განაცხადა.

**ფილიპოპოლი.** ოსმალეთის სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, რომ სულთანს და ლორდს სალისბერს ამას წინად დეპეშები გაუგზავნიათ ერთმანეთისათვის. სულთანს უთხოვნია, რომ კარგი იქნება ინგლისმა გაიხსენოს ძველი მეგობრობა ინგლისისა და ოსმალეთისა და კრიტის საქმეებში ჩაერიოსო.

6 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს, სამ საათზედ, საზამთრო სასახლის პატარა ეკკლესიაში მონათლულ იქმნა საიმპერატორო გვარეულობის თავადი ანდრია ალექსანდრეს ძე. მიმრქმელად ბრძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი: მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ნიკოლოოზ მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული.

**ლონდონი.** გაზ. „Daily News“-ს კანეიდგან დეპეშით ატყობინებენ: „საბერძნეთის ჯარში, რომელიც პლატანთან არის დაბანაკებული, 5,000 მდე თავისის სურვილით ჯარში ჩარიცხული ჯარის კაცია. ორის დღის შემდეგ კიდევ მოელიან 20,000 კაცს.

**კონსტანტინეპოლი.** უცხო ქვეყნის სამხედრო გემებს ბრძანება აქვთ მიცემული, რომ კისამოს მახლობლად ჩამოუშვით ღუზა და, თუ ვინიცობაა საჭირო იყოს, ჯარი კანეიში გადაიყვანეთო.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც ისმის, კრიტის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნება სამოსსის თავადი ფოტიადესი.

**ათინა.** კანერარომ შეატყობინა საბერძნეთის კონსულს კრიტში, რომ სახელმწიფოებმა გარდასწყვიტეს დაიჭირონ თავი'ის ჯარებით ოთხი ადგილი: კანეია, რეტიმნო, კანდია და სიტია და თავისს წინაამდეგ მოქმედების ნებას არავის არ მისცემენო. საბერძნეთის ჯარმა კრიტის სხვა ადგილებშიაც მოქმედებას უნდა დაანებოს თავიო.

7 თებერვალი.

**ბათუმი.** მემკვიდრე ცესარევიჩი 6 თე'ერვალს, დილის 9 საათზედ, გემით „ზარნიცათი“ გაემგზავრა.

**კელნი.** „კელ. გაზ.“ სწერს: „ევროპის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით ამბავს იმის შესახებ, თუ რა ბედი მოელის კუნძულს კრიტს. ამბობენ, რომ სრული ავტონომია მიეცემა კრიტსაო და უკვე ასახლებენ კიდეც საბერძნეთის მეფის ძე გიორგის კუნძულის მომავალის მმართველად და გამგედ მაგრამ ეს მხოლოდ უსაქმურთა ლაპარაკიაო. მეფის ძე გიორგი რომ დაინიშნოს კუნძულ კრიტის მმართველად, ეს იქნება განმეორება საბერძნეთის მიერ უფლებათა დარღვევისა და მოწონება იმ საქციელისა, რომელსაც იგი ადგა. გერმანიის მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია ამ საქმის ასე გარდაწყვეტას შეუწყოს ხელი.

**კანეია.** უცხო ქვეყნის სამხედრო გემების ადმირალებმა წინა დაუდეს საბერძნეთის კონსულს, რომ საბერძნეთის მთავრობის მოქმედებისა გამო კრიტში, საელჩოდან დროშა ჩამოხსენითო. კონსულმა დროშა კი ჩამოხსნა, მაგრამ თვით ჯერ არ წასულა.

**კანეია.** ფლოტის დარაჯი, რომელიც საელჩოს იცავდა, უცხო ქვეყნელ ადმირალთა წინადადებით, გადაყენებულ იქმნა, თუმცა კონსული ამისი წინააღმდეგი იყო.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით აუწყებენ კანეიდგან: „საბერძნეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ საბერძნეთის საელჩომ კვლავ დაიწყოს მოქმედება და დროშაც ისევ აღმართეთო.“

**ლონდონი.** კერზონმა განაცხადა, რომ კონსტანტინეპოლში 11 უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემიაო. რაც შეეხება იმ ამბავს, ვითომ ოსმალეთის ჯარი ალექსანდრეტთან გადმოსულიყოს გემებიდგან, მთავრობას არავითარი ოფიციალური ცნობა არა მოსვლია რაო.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანი თავის მეფობის განმავლობაში პირველად წავიდა წყლით სტამბოლს წინასწარმეტყველის წამოსასხამის სამთხვევლად. სასახლიდგან ჩვეულებრივ ადრე გამობრძანდა. სტამბოლის ქუჩებში უფრო მცირე მოძრაობაა, ვიდრე სხვა დროს ყოფილა. პოლიცია დიდად ჰფრთხილობს.

**ბელგრადი.** მეფე 17 თებერვალს სოფიაში მიდის და იქ სამს დღე-ღამეს დარჩება.

# განცხადებანი


ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამიოაცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძმათა კლიუჩაროვების სეული უძრავი მამული ქალაქ ბათუმში, სმეკალოვისა და კომაროვის ქუჩების მოსახვევში, რომელიც ბანკს დარჩა. ეს მამული შეიცავს ხუთ სხვა-და-სხვა გვარ შენობას და 300 ოთხკუთხ საჟენ მიწას. ვაჭრობა დაიწყება 21.790 მ. და 05 კაპეიკიდგან. ამ ფულში ირიცხება თავნი ვალი ბანკისა—18.054 მ. 34 კ., ვადით ყოველ ექვს თვიური გადასახადი 641 მ. 25 კაპ. რაც მყიდველს შეუძლიან ვალადვე გადაიტანოს თავისს სახელობაზედ, დანარჩენი ფული-კი, 2351 მ. 45 კ. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ზემოხსენებულ მამულის ყიდვის დროს. ამ მამულის ყიდვის მსურველთ პირობებისა და დაწვრილებითი ცნობების შესატყობლად შეუძლიანთ მიჰმართოთ თვით ბანკის გამგეობას პირადად ან წერილით. (3—6—1)

გამოვიდა ⁊ ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი წიგნი
ბახტრიონი
ისტორიული პოემა
ვაჟა-ფშაველასი.
(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით.).
შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)
ფასი ერთი აბაზი,
უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.
ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.
(5—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7 го Февраля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.